საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.08.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 054/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ა.-ის მიმართ /სიითი № /

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ა.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 02 აგვისტოს საჩივრით მომართა დ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ა.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა ადვოკატ ზ. ა.-ს მიმართა 2019 წლის ზაფხულში, რაც ეხებოდა მოდავე მხარესთან - ი. წ.-თან მიწის ნაკვეთის გამიჯვნის საკითხზე იურიდიული დახმარების მიღებას. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი მას დაპირდა საქმის „აუცილებლად დადებითად გადაწყვეტას“. მომჩივანმა საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი გადასცა ადვოკატს.

1.2 სასამართლოს მითითებით, საქმესთან დაკავშირებით, ექსპერტიზის ეროვნულმა შეადგინა სახლების აზომვითი ნახაზები. მომჩივანის განცხადებით, სასამართლოში საქმისწარმოების დროს, ადვოკატმა მოსამართლეს არ განუმარტა, რომ მისი მოთხოვნა იყო სადავო მიწის გამიჯვნა და არა „სახლების აზომვა“, რაშიც ადვოკატმა ის „შეცდომაში შეიყვანა“, რადგან მუდმივად ეუბნებოდა, რომ „საქმე კარგად დამთავრდებოდა“.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2020 წლის 27 ნოემბერს ადვოკატმა უთხრა, რომ სარჩელი უკან გაეხმო, თავად კი სასამართლოში მისვლა დააგვიანდებოდა, რადგან „საცობში იყო“ და ორი საათის დაგვიანებით გამოცხადდა, როცა უკვე სასამართლო სხდომა დასრულებული იყო.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს ჰონორარის სახით გადაუხადა 1500 ლარი, ექსპერტიზის ჩატარების ხარჯმა შეადგინა 1235 ლარი. საჩივრის ავტორს ადვოკატი სარჩელის გახმობის შემდგომ ერთხელაც არ დაკავშირებია, რომ „გარკვეულიყო რა მოხდა“. მომჩივანის განცხადებით, მას გაუჩნდა ეჭვი, რომ ადვოკატი გაურიგდა მეორე მხარეს.

2 ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 06 სექტემბერს ადვოკატმა ზ. ა.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც, დ. ს.-მ ადვოკატის სახელზე 2019 წლის 22 აპრილს გასცა მინდობილობა. ამავე წლის 26 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცა დ. ს.-ს. ხელშეკრულებაში მიეთითა, რომ „საქმის შედეგთან დაკავშირებით ადვოკატს უფლება არ აქვს კლიენტს მისცეს გარანტია“.

2.2 ადვოკატმა დ. ს.-მ განუმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნის საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო იყო ექპერტიზის დასკვნა, ვინაიდან, საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა „დაუსრულებელი ექსპერტიზის დასკვნა“, რადგან მოპასუხე მხარემ - ი. წ.-მა არ მისცა ნება ექსპერტებს მის საკუთრებაში არსებული ფართში შესულიყვნენ. მომჩივანი ინფორმირებული იყო ექსპერტიზის ხარჯებთან დაკავშირებითაც. საქმეზე ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაზე დ. ს.-ს მიუთითა მოსამართლემაც და განუმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნით, შესაძლებელი იქნებოდა საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა, იგი დაუყოვნებლივ გამოიტანდა გადაწყვეტილებას, ხოლო ასეთი არ არსებობის შემთხვევაში ქონება აუქციონის წესით გაიყიდებოდა.

2.3 ადვოკატმა სასამართლოში წარდგენის მიზნით შეადგინა საქმესთან დაკავშირებით სარჩელი, რომელსაც დეტალურად გაეცნო დ. ს. და მოაწერა ხელი. ადვოკატის განცხადებით, სასამართლომ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და მოპასუხე ი. წ.-ს დაევალა ექსპერტების შეშვება მის საკუთრებაში.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის დ. ს.-სთან ერთად იმყოფებოდა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, ერთად გაიარეს კონსულტაცია, შეათანხმეს ექსპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო შეკითხვები და დანიშნეს ექსპერტიზა. ადვოკატის განცხადებით, დ. ს. ექსპერტთან საუბრისას ინფორმირებული იყო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯების შესახებ და დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით რაიმე გარანტია არ მიუცია. ადვოკატმა მომჩივანს განუმარტა, რომ ექსპერტიზის დასკვნაზე იქნებოდა დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილება და თუ ის ექსპერტიზას არ დანიშნავდა სარჩელის გახმობა მოუწევდა და მას როგორც ახლობელს მიღებული ჰონორარიდან დაუბრუნებდა ნაწილ თანხას. ადვოკატის განცხადებით, დ. ს. დათანხმდა ექსპერტიზის ჩატარებას და ხელი მოაწერა ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებას.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ექსპერტიზის ჩატარება დროში გაიწელა და ის რამდენჯერმე დაუკავშირდა ბიუროს ექსპერტის დროულად დანიშვნის თაობაზე. ადვოკატი გამოცხადდა პირველ ექსპერტიზაზე, თუმცა ექსპერტის მიზეზით ვერ მომზადდა დასკვნა. მეორედ გამოცხადების დროს ექსპერტიზის ჩატარების ადგილზე ადვოკატ ზ. ა.-ს დახვდა მომჩივანის ადვოკატი მ. კ.. ადვოკატის განმარტებით, მას დ. ს.-მ არ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მას ჰყავდა ახალი ადვოკატი. მიუხედავად მხარეებს შორის არსებული კონფლიქტისა, ადვოკატ დ. ს.-ის დახმარებით ექსპერტმა შეძლო ყველა აზომვითი სამუშაოს ჩატარება.

2.6 ადვოკატმა ზ. ა.-მა დ. ს.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან მას ახალი ადვოკატი უწევდა იურდიულ მომსახურებას ის შეწყვეტდა მასთან ურთიერთობას, თუმცა დ. ს.-მ სთხოვა რომ გაეგრძელებინა მისი დახმარება. ადვოკატმა ზ. ა.-მა ადვოკატ მ. კ.-ის თანდასწრებით დ. ს.-ს განუმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნა იქნებოდა არასასურველი და დავა გაგრძელდებოდა, თანასაკუთრებაში არსებული ქონება აუქციონის წესით გაიყიდებოდა, თუმცა დ. ს.-მ განმარტა, რომ მისი ინტერესი ქონების გაყიდვა იყო.

2.7 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 02 ოქტომბერს ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა. ადვოკატმა დ. ს.-ს განუმარტა, რომ დავის გაგრძელება ამ დასკვნის მიხედვით არ იქნებოდა პერსპექტიული, რაც მეორე ადვოკატმაც დაადასტურა, რაზეც საჩივრის ავტორი განაწყენდა, ადვოკატ ზ. ა.-ს მიაყენა შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ ის თავად გამოიხმობდა სარჩელს სასამართლოდან.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ამის შემდგომ ის კვლავ შეხვდა დ. ს.-ს სასამართლოს შენობაში, განუმარტა საქმის გარემოებები და დაუბრუნა ყველა დოკუმენტი, თუმცა მომჩივანი ადვოკატს დაემუქრა და გააფრთხილა, რომ ექსპერტიზის დასკვნა არავისთვის ეჩვენებინა. ადვოკატმა მომჩივანს განუმარტა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა კონფიდენციალური იყო და ვერ გაასაჯაროებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 დ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 02 აგვისტოს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2019-2020 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ზ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა მას საქმის „აუცილებლად წარმატებით დასრულებას“ დაპირდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ კლიენტისთვის შესაძლო გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით:

,,ადვოკატს უფლება არ აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.3).

5.3 საქმის 100%-ით მოგების გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს

ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“

5.4 საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები განსხვავებულია. ადვოკატი ზ. ა. უარყოფს კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტს და განმარტავს, რომ მან საჩივრის ავტორს მიაწოდა ინფორმაცია საქმის შესაძლო შედეგებზე, მათ შორის სასამართლოში საქმისწარმოების დროს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაზე. აგრეთვე საქმეში წარმოდგენილია მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე, რომელშიც მითითებულია ადვოკატის მიერ საქმის შედეგზე გარანტიის მიცემის აკრძალვის თაობაზე (იხ. ხელშეკრულება 26.04.2019). საჩივრის ავტორს თავისი პოზიციის გარდა, არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რითიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულიყო ადვოკატის მიერ საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე დაპირება. შედეგად, მხარეთა პოზიციებით და წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დგინდება ადვოკატ ზ. ა.-ის მიერ კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა.

5.5 საჩივრის ავტორის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა სასამართლოს არ წარუდგინა მოთხოვნა სადავო მიწის ნაკვეთის გამიჯვნასთან დაკავშირებით და ნაცვლად აღნიშნულისა ქონების აზომვით ნახაზების შედგენა და ექსპერტიზის ჩატარებას იშუამდგომლა:

5.6 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე: ადვოკატმა კვალიფიციურად ... უნდა მისცეს რჩევა კლიენტს ... უნდა განახორციელოს კლიენტის 5 წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.7 „ადვოკატების მიერ კვალიფიციური იურიდიული მომსახურების ფარგლებში განხორციელებული თითოეული მოქმედება წარმოადგენს სამართლებრივი სტრატეგიის ნაწილს. ის დაკავშირებულია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის შედეგთან, რომელიც ეფუძნება მის პროფესიულ გამოცდილებას და კვალიფიკაციას. გაწეული იურიდიული მომსახურების სრულფასოვანი შეფასებისთვის საჭირო იქნებოდა ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიერ საქმის წარმოების მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედების ხარისხის შეფასება, რისი უფლებამოსილებაც ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგია ვერ მიუთითებს ადვოკატს რომელი საპროცესო მოქმედების განხორციელება იქნებოდა კლიენტის ინტერესებისთვის უკეთესი, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი ან სამართლებრივი დასკვნა, და რა სავარაუდო გავლენას იქონიებდა აღნიშნული

საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. ეთიკის კომისია ვერ შევა სასამართლოს კომპეტენციაში, რომელსაც შეუძლია წარმომადგენლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ადვოკატისთვის დაკისრება (სსკ 712, 719 და სხვა მუხლები). თუმცა პროფესიული ეთიკა ავალდებულებს ადვოკატს საქმის წარმოების მიზნით 6 შემუშავებული სტრატეგია და საპროცესო მოქმედებები შეუთანხმოს კლიენტს, რაც უკავშირდება საქმის მსვლელობის მნიშვნელოვან დეტალებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, კლიენტის ინფორმირების ვალდებულებას. არაინფორმირებული კლიენტი ვერ მიიღებს გათვითცნობიერებულ გადაწყვეტილებას მის საქმესთან დაკავშირებით, შედეგად ის ვერ იქნება ეფექტიანად ჩართული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში“ (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N083/18).

5.8 მომჩივანი უთითებს, რომ საქმეზე მის ინტერესს წარმოადგენდა ქონების განკარგვა, მისი გაყოფა, თუმცა ადვოკატმა ზ. ა.-მა სასამართლოში საქმისწარმოების დროს არ მოითხოვა ნაკვეთის გამიჯვნა და ნაცვლად აღნიშნულისა სახლებზე აზომვითი ნახაზების გაკეთებას (ექსპერტიზის ჩატარებას) ითხოვდა. ადვოკატი უარყოფს აღნიშნულს და განმარტავს, რომ სასამართლოს მიმართეს სადავო ქონების გაყოფის თაობაზე, ექსპერტიზის დანიშვნაზე კი დ. ს. თანხმობას აცხადებდა. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობდა საქმის განხილვა მოპასუხე მხარის ი. წ.-ის მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე. საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რითიც დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა დ. ს.-ის საწინააღმდეგო პოზიცია წარუდგინა სასამართლოს, მათ შორის ქონების განაწილების საკითხზე. (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება N---). ამასთან, კოლეგია განმარტავს, რომ კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატის იურიდიული რჩევა, არსებითად იმსჯელოს ზ. ა.-ის მიერ გაწეულ იურიდიული რჩევის ხარისხზე, მათ შორის შეაფასოს დ. ს.-ისთვის სარჩელის გამოხმობის, ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ადვოკატის მიერ გაცემული კონსულტაცია. დასტურდება, რომ დ. ს.-ის მიმართვის საფუძველზე დაინიშნა ექპსერტიზა იმ საკითხებზე, რომელიც მომჩივანის ინტერესს წარმოადგენდა - საზიარო საგნის დაყოფის თაობაზე (იხ. ექსპერტიზის დასკვნა - N---); საჩივრის ავტორმა თავად მიმართა სასამართლოს სარჩელის გახმობის თაობაზე, რის შედეგადაც საქმე საზიარო ფულების გაუქმების თაობაზე დარჩა განუხილველი. შედეგად, არ დგინდება, რომ ადვოკატმა სამართლებრივად განახორციელა ქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესში არ შედიოდა.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N054/21 ადვოკატ ზ. ა.-ის მიმართ /სიითი № / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/